სამშაბათი 14 ივლისი 1915 წ.

სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. [illegible] წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მომწ[illegible] ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განც[illegible]: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 128 ყოველდღიური სამპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 128

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

—აბანო.—

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჭკერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაულილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით თ.

სობოროსთან, რიქინაშვილის სახლში მოთავსებული სავაჭრო სახლი

ერქომაიშვილისა და ამხ.

რომელიც ომიანობის გამო დროებით გადმოვიდა სოხუმიდან,

ამ მოკლე ხანში ისევ აპირობს გადასვლას.

ამის გამო ყოველგვარი საქონელი მყიდველ საზოგადოებას ეთმობა

ძლიერ ხელმისაწდომ ფასებში.

10—8 პატივისცემით ი. დ. ერქომაიშვილი

განცხადება. ღამით, 2 ივლისს ქუთაისიდან აჯამეთს შუა დავკარგე თბილისის მატარებელზე, პორთფელი, რომელშიაც იყო: ორი ვექსილი ასას თუმნიანი, ჩემი პირადობის მოწმობა, ათი თუმნის კვიტანცია თბილისის ხაზინისა და სხვა წერილები. მპოვნელს ვსთხოვ უმორჩილესად აღნიშნული პორთფელი დოკუმენტებით მოიტანოს, ან გამოგვიგზავნოს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ქ. ქუთაისში.

10—8 სიმონ სიკოს ძე კილაძე.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი

ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს **ფრანგულ ენას.**

პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.

მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას დებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა., პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. კაშიასი თვ.

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი
საზაფხულო შენობაში.

ორშაბათიდან 13 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

I.
ფრინველების კვება.

II.
საშინელების კლანჭებში.
სამ ნაწილათ, საუკეთესო მსახიობების მონაწილეობით.

III.
ბრაზიანი ძაღლი ანუ კოკოს სიყვარულის თავგადასავალი.
მხიარული სურათი.

Кутаисская женская гимназія

(Зарѣчный участокъ, Месхетская улица)

симъ объявляетъ, что съ предстоящаго 1915-16 учеб. года при названной гимназіи открываются младшее и азбучное отдѣленія приготовительнаго класса, а при VIII дополнительномъ классѣ, кромѣ спеціальности „русскій яз.“, еще спец. „математика“.

Пріемныя испытанія для постороннихъ лицъ и переэкзаменовки для ученицъ начнутся 17-го августа с. г. 4—2.

ქურნალ გაზეთებიდან.

ომი და ვექილი ქალები.

შორს არაა ის დრო, როცა საფრანგეთში ვექილ ქალს თეთრი ყვავივით უცქეროდენ. პირველმა ვექილმა რუსის ქალმა მირაპოლსკაიამ პარიზის ვექილის სახელწოდებით დიდი ხმაურობა ასტეხა. ამ ახალს მერცხალს სხვებიც გამოეხმაურენ და დღეს საფრანგეთში მრავალი ვექილი ქალია.

დაიწყო ომი. 15000 ვექილი მამაკაცი მომქმედ ჯარში გაიწვიეს. ამით შეიკვალა ვექილთა კონტინგენტიც: კაცების მაგიერათ გამოვლენ ქალები, რომლებიც მშვენიერათ ასრულებენ თავის მოვალეობას.

არც ერთი პროცესი ამ უკანასკნელ დროს არ იყო ისეთი, სადაც ვექილი ქალი არ ყოფილიყო. მსაჯულთა გადმოცემით, ვექილი ქალები შესანიშნავათ ასრულებენ თავის როლს: დიდის კეთილსინიდისიანათა და საქმის ცოდნით.

ომის მიმდინარეობა.

რიგა-შაველის მიდამოში მტერმა ტუკუმ-დომლენის ფრონტთან მოახწია და იერიში მოაქვს სამხრეთით.

შავლის პოზიციებზე გერმანელების იერიში მოგერებულ იქმნა.

ნარევის ფრონტზე მტრის იერიში გრძელდება.

ვეპრზე მტერმა კრასნოსტავი დაიჭირა.

რუმინიის გაზეთ „ადევერულ“ მა გამოაქვეყნა მოწოდება სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციების სახელით:

„რუმინიას რჩება ორი გზა ან შეურიგდეს თავის მეორე ხარისხოვან მნიშვნელობას ან და შემოიერთოს ტრანსილვანია და გახდეს დიდ რუმინიათ, რომელსაც შეეძლება მნიშვნელოვანი როლის თამაში მომავალ ევროპაში. ჩვენ უნდა გავიღვიძოთ და გავეშუროთ დიდებისაკენ.

ინგლისელების მიერ რუსეთის გაცნობა.

ინგლისიდან მოსკოვში ჩამოვიდა ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი სიმპტონი, რომ შეისწავლოს ადგილობრივი მუშაობა რუსეთის საზოგადო ორგანიზაციებისა. ამას გარდა პროფესორ სიმპტონს აზრათა აქვს გამოირკვიოს რუსეთში ეროვნული საკითხი: კავკასიაში, პოლონეთში და ფინლიანდიაში, გუშინ სიმპტონმა ინახულა მოსკოვის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები მათ რიცხვში, გ. ე. ლვოვი და მ. ვ. ჩელნოკოვი. ინგლისელი სტუმარი ერთ კვირას დარჩება მოსკოვში.

სევასტოპოლი.

ჩვენმა ნაღმებმა დასძირეს ოსმალეთის 59 გემი ტრაპიზონთან ახალი დატვირთული ფქვილით და სხვა სანოვაგით, რომელიც კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის ჯარს ეგზავნებოდა.

ბათუმი.

„ორიზონს“ მოჰყავს წერილი ჟენევის სომხურ გაზეთის „დროშაკ“-ის (ორგანო დაშნაკცუტიუნთა) მიმართული ოსმალეთის შინაურ საქმეთა მინისტრ ტალაატ-ბეისადმი. პარტიული გაზეთი მთელ პასუხისმგებლობას სომეხ ინტელიგენტთა დევნაზე და სომხების შევიწროვებაზე ახვევს პირადათ ტალაატ-ბეის.

სოფია.

7 ივლისს თ-დ გოგენლოე მეფისაგან მიღებული იყო აუდიენციაზე. აუდიენციის შემდეგ ის მიიღო დედოფალმა. დღეს დილით მან ინახულა რადოსლავოვი. საღამოს კონსტანტინოპოლში გაემგზავრა.

„რ. ვ.“

ბუქარესტი.

აქაურ დიპლომატიურ წრეში დიდი ინტერესებით უცქერიან გოგენლოეს ჩამოსვლას. ფიქრობენ, რომ სულ მოკლე ხანში გამოკვლეული იქნება, თუ როგორი მისსია მიანდო მას იმპერატორმა ვილჰელმა.

კოპენჰაგენი.

„ფრანკფურტ. ცეიტ.“ იუწყება ამ ბოლო ხანში დაპატიმრებული გენადიევის თავის მოკვლას.

კიევი.

ვილნოს გუბერნიიდან იგზავნებიან გერმანელი ყველა კოლონისტები გადასახლება უნდა დასრულდეს 10 ივლისს.

რომი. იტალიის ჯავშნოსანი გემი „ჯუზეპე გარიბალდი“ ავსტრიელების წყალქვეშა ნავმა ააფეთქა კატაროსთან.

პარიზი.

ამერიკის სიელჩოს გადმოცემით პრეზიდენტი ვილსონის ნოტას ამ კვირაში ჩააბარებენ გერმანიის მთავრობას, ნოტა შედგენილია თვით პრეზიდენტი ვილსონისაგან და ლანსინგისაგან, რომელიც ყოველ ეჭვს სპობს შესახებ ამერიკის მოქმედებაზე, რომ ის გულგრილ მაყურებლათ და უმოქმედოთ არ დარჩება თუ, რომ მომავალშიაც ამერიკის მოქალაქეთა სიცოცხლეს განსაცდელი დაადგება.

პარიზი.

ბულგარეთის პრემიერმა რადოსლავოვმა „ტაიმსის“ კორესპონდენტს შემდეგი პასუხი მისცა:

— როდესაც ჩვენ გადავსწყვიტეთ ნეიტრალიტეტის დაცვა, ჩვენ ვმოქმედობდით, თანახმათ სამთაშეთანხმაშის სურვილისა. მე არ ვფიქრობ, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება, მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ ომში ჩავერიოთ, ჩვენ გვინდა, როგორც კომპენსაცია, რეალური სარგებლობა. ჩვენ უკვე ვუპასუხეთ ოთხთა შეთანხმებას როდესაც გვთხოვდენ ბულგარეთის ომში ჩარევის დროს აღნიშვნას, რომ ყველაფერი წინასწარ გამოკვლეული უნდა იქმნას.

მოლაპარაკება გრძელდება.

„რ. ს.“

მამადიან ქალთა პირველი ნაბიჯი.

უფის მამადიანთ სამღვდელოებამ ნება დართო მამადიან ქალებს მეჩეტში შესვლისა. ამის შესახებ უფის მეორე მეჩეთში მათ ბჭობა ჰქონდათ, რომელსაც დაესწრო მღვდლები და გავლენიანი მრევლთაგანი. ამ საუბარში მოლებმა განაცხადეს, რომ შარიატში არ მოიპოვება არავითარი საწინააღმდეგო ქალების მეჩეტში შესვლისა და არც მამაკაცებთან უპირბადოთ მათი ლაპარაკის შესახებ.

ასეთი ბჭობის შემდეგ წასულ პარასკევს უფის მეორე მეჩეთში საზოგადო ლოცვის დროს პირველათ შემოვიდნენ მამადიანი ქალები.

„რ. ს.“

კერძო ამნისტია.

3 ივლისს მინისტრთა საბჭოში აღძრულ იყო კითხვა ვ. ლ. ბურცევის და ფინლიანდიის სეიმის ყოფილ ტალმანის სვინხუვუდის შესახებ. იუსტიციის მინისტრის თანაშემწემ ა. ნ. ვერიოვკინმა ის აზრი გამოსთქვა, რომ თავის დროზე აღძრული იქნება შუამდგომლობა ვ. ლ. ბურცევის პატიებაზე, რომელიც დაბრუნდა სამშობლოში აღძრულ ულრმესი პატრიოტულ გრძნობებით კაბინეტის წევრებმა თანხმობა განუცხადეს ბ. ვერიოვკინს.

„რ. ს.“ ცნობით, თუ რომ ბურცევი განთავისუფლებულ იქნება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას დაუბრუნებენ ყველა უფლებას და ნება მიეცემა საცხოვრებლათ ამოირჩიოს რომელი ქალაქიც ესურება, გარდა სატახტოსა და საუნივერსიტეტო ქალაქებისა.

ამასთან მმართველთა წრეში აღძრულია კითხვა ეხლა ხან გასამართლებულ ს. დ-ბის ფრაქციის შესახებ. „რ. ს."

საქალო საპატიმროდან გაქცევა.

გუშინ სამხედრო საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ა. ე. კორსუნსკაიასი ეგრედ წოდებულ ა. ია. ანასტასიევასი, რომელსაც ბრალდებოდა მოსკოვის საპატიმროდან გაქცევა.

გაქცევა მოხდა 1909 წ. 9 ივლისს მე-8-№-რ კამერის 16 ტყვე ქალის რიცხვიდან გაიქცა 13 პოლიტიკური დამნაშავე კატორგით დასჯილნი.

ტყვეებთა შორის იმ ღამეს გაიქცა ციხის ზედამხედველი ტარასოვის ქალ. ტარასოვა ციხის მოსამსახურეთ შემოვიდა გაქცევის წინა დღეებში. თითონ იგი ერთს დროს პოლიტიკურ დამნაშავეთ ითვლებოდა და იჯდა მოსკოვის გადასაგზან ციხეში, და ციხის ზედამხედველათ შემოვიდა იმ აზრით, რომ მოეხდინა პოლიტიკურ პატიმართა გაქცევა.

ღამის პირველ საათზე ტარასოვამ გააღო კამერა და გასაქცევათ მომზადებულნი სხვა და სხვა ტანისამოსით ზოგი კაცურათ ჩაცმულნი, გამოვიდნენ. თვითონ ტარასოვა შავ კაბაში, როგორც არის ციხის უფროსი ქალი ჩაცმული გამოჰყვა მათ.

გზაში მათ შებოქეს ორი ციხის ზედამხედველი ქალი და მიუდგომელი გასაღებით გააღეს ციხის კარები და მშვიდობიანათ გამოვიდნენ ქუჩაში. ნოვინსკის ბულვარდთან გაქცეულები მიიმალნენ.

მეორე დღეს სამი მათგანი დაჭერილი იყო. წასული წლის სექტემბერში ბაქოში დაიჭირეს ა. ია. ანასტასიევა. გუშინ სამხედრო საოლქო სასამართლომ გაარჩია მისი საქმე.

თავმჯდომარეობდა გენ. მაირ. დობროვოლსკი, ბრალმდებელი იყო პოლკოვნიკი პიოტროვსკი. იცავდა ნაფიცი ვექ. თანაშემწე ლიპსონი.

დამნაშავემ, როგორც დაჭერის დროს ბაქოში, ისე სასამართლოში თავი კორსუნსკაიათ არ აღიარა.

სასამართლოთ იცნო ანასტასიევას და კორსუნსკაიას ერთი და იგივეობა და გადაუწყვიტა კორსუნსკაიას პეტროგრადის სასამართლომ პალატის კატორგის სასჯელი, ორი წლითა და ორითვით ბორკილის დადება. რ. ს.

პრესა.

„ახალმა კვალმა" ვრცელი წერილი უძღვნა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გამეფებულ წესებს და სხვათა შორის ამბობს:

„ერთი კვირის წინათ ქართულ გიმნაზიის ინსპექციამ ბ. ი. ოცხელის მეთაურობით ადგილიდან დაითხოვა მასწავლებელი ი. ცინცაძე და მიზეზათ სასკოლო კომიტეტის ცვლილებები დაასახელა. დღეს, გაზეთ „სამშობლო"-ს მიერ გამომჟღავნების შემდეგ, რომ აქ სასკოლო კომიტეტი არაფერ შუაშია და ცინცაძე პირად ნიადაგზეა დათხოვილი ოცხელის მიერო, ბ. ოცხელი თავს იმით იმართლებს, რომ ცინცაძე თავის მოვალეობას ვერ ასრულებდაო. რატომ? იმიტომ, რომ მას მასწავლებლის მეორე ადგილი აქვს წმ. ნინოს გიმნაზიაში და ამავე დროს გაზეთის რედაქტორათაც არისო.

ეს განცხადება ძალიან დამახასიათებელია თვით ბ. ოცხელის, როგორც იეზუიტის, ისე, როგორც ამას წინათ „სახ. ფურცლის" ბრალდება ბ. ცინცაძეზე—„ზარმაცობს", ბავშებს არ ასწავლის-ო-დამახასიათებელია „სახ. ფურცლის" იეზუიტობის... რაშია საქმე?

მოხდა ის, რომ ი. ცინცაძე გაზ. „სამშობლო"-ში საზოგადოთ გაკადნიერდა. პირველი მისი კადნიერება ისაა, რომ არ ეთანხმება ცოტა რამეში ძმებს „სახალხოელებს" და ეს საკმაოა მისი სიზარმაცე ქვეყანას ემცნოს, ხოლო მეორე დიდი კადნიერება ისაა, რომ ი. ცინცაძემ „სამშობლო"-ში ძმ. ოცხელების თავაშვებული სპეკულიაცია აღნიშნა (2 მ. 50 კ. ქაღალდის 7 მ. მიყიდვა) და ეს საკმაოა მისი გიმნაზიიდან გამოსაბუზურებლათ.

ჩვენ აზრათაც არ მოგვდის ბ. ცინცაძის პიროვნების დაცვა, ჩვენ მხოლოთ ფაქტთან გვაქ საქმე და მაზე ვმსჯელობთ: თუ ცინცაძე უვარგისი და მოუცლელი იყო, სად იყვენ აქამდე. მთელი წლების განმავლობაში, ხოლო თუ აქამდი კარგი იყო და ყველგან ასრულებდა მოვალეობას, დღეს რაღა დაემართა?

რამდენი ფანდებიც არ უნდა იხმაროს ბ. ოცხელმა და კომპანიამ, საზოგადოებაში მაინც ბუნდოვანი იქნება ეს ინციდენტი და ამ ბინდში გამოიყურება აჩრდილი „სამშობლო"-ს სტატიებისა, ხოლო ამ ინციდენტით ერთი რამ ცხადზე ცხადია:

ქართული გიმნაზია საფრთხეშია, იქ გაბატონებულთ არ მიენდობა ისეთი დიდი საქმე, როგორცაა ახალთაობის გონებრივ-ზნეობრივი აღზრდა. ეს კი ყველა იმისგან ვისაც ესმის ახალ თაობეს აღზრდის მნიშვნელობა და თავისი მოვალეობაც ამ თაობის წინაშე, მოითხოვს საქმეში ჩარევას საქმის აწის მაინც მოსაგვარებლათ, ქართული სამეცნიერო ტაძრიდან იეზუიტების გამოსარეკათ და ამ ტაძრის ჭეშმარიტ ქურუმთათვის ჩასაბარებლათ."

ქუთაისის სახელოსნო სკოლის კაპიტალი.

ყოველთვის და ყოველგან ხელოსნობა ერთ საუკეთესო საშუალებად ყოფილა მიჩნეული, რომ კაცმა ამ გვარის შრომის ნაწარმოებით არჩინოს თავისი ოჯახი და შეინახოს თავისი თავი. დიდი სარგებლობა მოუტანიათ და დღესაც მოაქვთ მცხოვრებლებისათვის ხელოსნებს, მეტადრე ქალაქ ადგილებში. დღესაც თითქმის ყველგან დიდი ყურადღებაა მიქცეული საზოგადოების მხრით და მთავრობის მხრითაც, რომ ხელოსნები დაწინაურდნენ თავიანთ ხელობაში, როგორც სწავლითა, ისე ნივთიერად — სხვა და სხვა საამხანაგო და საკრედიტო დაწესებულებით.

დაწინაურებისთვის ხელოსნებს ეჭირვებათ სახელოსნო სკოლები, რომ შეისწავლონ, რაც მიუცილებლად საჭიროა, რომ განვითარდნენ თავიანთ ხელობაში, მათ ეჭირვებათ კრედიტი—ფული, რომ ხელი მოინაცვლონ მასალის და იარაღის შესაძენათ, რომ თავისუფლად და არა გაჭირვების გამო გაყიდონ თავიანთი ნაშრომი და არ ჩაუვარდნენ ხელში კერძო მევალეებს, რომელნიც ხშირად სარგებელში ართმევენ მათის ნაშრომის ღირებულობის უმეტეს ნაწილს.

ამ ოციოდე წლის წინათ, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ დაადგინა, რომ სახელოსნო სკოლის დასაარსებლად და მის საშუალებით ქუთაისის ხელოსანთა შორის სახელოსნო სწავლის გასავრცელებლათ ყოველ წლივ ამ საკრედიტო საზოგადოების წმინდა მოგებიდან გადადებულიყო ათი პროცენტი, ესე იგი, მეათედი.

სახელოსნო სკოლის ეს ყოველ წლიური კაპიტალი ინახებოდა იმავ საკრედიტო ბანკში სარგებლიან ქაღალდებით, ასე რომ, როგორც ანგარიშებიდან სჩანს, 1903 წელში ეს კაპიტალი შეადგენდა 38.654 მან. 59 კ. თითქმის ოცდა ცხრამეტი ათას მანეთს.

1904 წელსა ეს კაპიტალი ჩაბარდა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას, რომელმაც ბანკის სურვილის თანახმად თავის ვალდებულობათ იცნო, რომ ეს სახელოსნო სწავლის კაპიტალი შენახული ყოფილიყო ამავ ბანკში იმ პირობით, რომ ამ კაპიტალს ყოველ წლივ მომატებოდა, როგორც სარგებელი, ისე ბანკის ყოველ წლიურის წმინდა მოგების მეათედი. იმედი იყო, რომ მომავალში სახელოსნო სწავლის ამ კაპიტალს ბანკის წმინდა მოგებისაგან ერგებოდა ყოველ წელს ორი ათას მანეთამდი და კიდევ უფრო მეტი.

მაგრამ მოხდა ის, რაც არ იყო მოსალოდნელი.

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ დიდი კრიზისი გამოიარა და ამ კრიზისმა უკან დასწია სახელოსნო კაპიტალის და საზოგადოთ ცოდნა-დახმარების საკითხი.

ეს კრიზისი მოხდა 1904 და 1905 წლებში.—მას აქეთ განვლო ათმა წელიწადმა და ქუთაისის წინათ სახელოვანს საურთიერთო კრედიტის ბანკს მოგება—აღარ ღირსებია.

რადგანაც თითონ ბანკს მოგება არ ეღირსა, აბა რაღას არგუნებდა სახელოსნო კაპიტალს.

იმ კაპიტალს, რომელიც ამ ათი წლის წინათ იყო ორმოცი ათასი მანეთი, ემატებოდა მხოლოდ თავისი კანონიერი სარგებელი, ესე იგი, წელიწადში (2400) ორი ათას ოთხასი მანეთი.

როგორც სჩანს მთავრობის მიერ დამტკიცებულ საბუთებიდან, სახელოსნო სასწავლებლის ეს კაპიტალი აბარია ქუთაისის სამოქალაქო თვითმართველობას და 1 იანვარს 1914 წელს იგი შეადგენდა სამოც ათას მანეთზე მეტს (60.358 მან. 92 კ.).

წლევანდლამდი ამ კაპიტალს კიდევ ერგება 1914 წლის სარგებელი სამი ათას ექვსას ოცდა ერთი მანეთი (3621), ისე რომ, ამა 1915 წლის 1 იანვარს ეს კაპიტალი იყო თითქმის სამოცდა ოთხი ათასი მანეთი (63.979 მ.ნ.).

დღეს ქუთაისში ხელოსანთა რიცხვი თითქმის ექვსი ათასამდეა,—ამათი ცოლ-შვილიც რომ ვიანგარიშოთ, გამოვა ქუთაისის ხელოსნები თავიანთ შეგირდებით და ცოლ-შვილით მთლათ ოცდაათას სულამდეა.

ვინც ქუთაისის ხელოსნების მეთაურნი არიან მათ მოვალეობას შეადგენს, რომ ყოველგვარი ზომები მიიღონ, დაიხმარონ ქუთაისის სამოქალაქო თვითმართველობა და, რაც შეიძლება, მალე განახორციელონ ის წმინდა დანიშნულება, რომლისთვისაც ეს კაპიტალი არის შეკრებილი.

საჭიროა, რომ [illegible]ბა, ამოირჩიონ ამ საქმის [illegible] კომისია, დაიხმარონ მცოდნე პირები და დროზე გახსნან ქუთაისში სახელოსნო სკოლა

ეს სახელოსნო სკოლა ისე უნდა იქნას მოწყობილი, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი საჭიროება სწავლისა ქუთაისის ხელოსნებისთვის.

საჭიროა, რომ ხელოსნებმა ითავონ და ქალაქის თვითმართველობის დახმარებით სიფრთხილით, წინდახედულობით, დაკვირვებით, სიმტკიცით, ერთმანეთთან შეთანხმებით, შეკავშირებით და ძმურად, დროზე გამოაწყონ ამ სკოლის საქმე სასარგებლოდ და სასახელოდ როგორც თავის ცოლ-შვილის, ისე სამშობლო ქვეყნისთვის.

ვარსკვლავი.

კიდევ უნდა გავიმეორო!

(დას. იხ. „სამშობლო" № 127).

აბუჩად იგდებენ თავისი სიჩუმით ქართულ ენას, ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე და არ შემიძლია არ ავღიარო, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებიც. ამ სამწუხარო მოვლენაზე მე კიდევაც მივუთითე საზოგადოებას წარსულ წელში („ნეტავი რათ სდუმან ჩვენი ქვეყნის ჭირისუფლები"? „თემი" № 178). ჩემი საყვედურის სამართლიანობას მჭერმეტყველურად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ქართული ენის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების შესახებ ჯერ რიგიანი ნაბიჯი არ გადადგმულა. აბა მითხარით, ვინ, სად, როდის ვიზრუნეთ ქართული ენის სავალდებულო საგნათ გახდომის შესახებ საშვალო სასწავლებელში? აბა, მიჩვენეთ, სად ან ვის მივმართეთ ამ ენის გაშტატების შესახებ? ჩვენი ხალხის შეგნებულ ნაწილს ან არ მიუქცევია სერიოზული ყურადღება ქართული ენის არა ნორმალურ მდგომარეობისთვის საშვალო სასწავლებელში, ან და ამ სამწუხარო მოვლენას ის კიდევაც შერიგებია. სდუმს... და რად სდუმს ვერ გამიგია.

ბატონებო! გულახდილათ უნდა ავღიაროთ: ჩვენ თავს ჩვენვე ვიწკეპავთ, ჩვენ ენას ჩვენვე ვთელავთ ფეხ-ქვეშ... ამ სამწუხარო მოვლენაზე ღაღადებენ ქუჩები, ბაღები, ქართველების კრებები და ჩვენ ტერიტორიაზე მყოფი საშვალო სასწავლებლები.

თანდილა.

მოშავებულ ცის კიდურს
გავყურებ ცრემლის დენითა
და ვთხოვ სეტყვას და ნიაღვარს
ჩემი ცოდვილის ენითა:

გვაკმაროს უჯიათობა
შურს ნულარ ძიობს შურითა,
ხელი მოუწყოს მოსავალს
გულუხვგვყოს ჰინახულითა.

აღარ გვსურს ღვინო ლალისა
აღარც ერთ კუთხის ძირზედა;
მზე პირმცინარე გვაჩვენოს
ჰირს ნულარ გვირთავს ჰირზედა.

სულაც დამხმარან ხე-ვაზნი
თავიანთ იარებითა,
გვეყო უმგზავსთა ლოთობა
წ თელის ზიარებითა.

ერთის და ორის სურვილით
სად თქმულა ყველა თვრებოდეს,
ათასის გალოთებასა,
სჯობს ერთი ილუპებოდეს...

მარტოხელს, ილაჯ გაწყვეტილს
მე უსნეულოთ სნეულსა,
თმები მიდგია ყალყზედა
დაუმგზავსებივარ წყეულსა.

გულს ნიდულებენ ქალ რძალთა
შავი სამოსი—თალხები,
უფრო კი მეტად მშიერი
და ტიტლიკანა ბალღები ..

გაავკაცებულ ცის კიდურს
გავყურებ ცრემლის დენითა
და ვთხოვ ყურთ ილოს ვედრება
ჩემის ცოდვილის ენითა.

შიო მღვიმელი.

სამთა შეთანხმება.

(დასასრული იხ. „სამშობლო"-ს № 119).

9 ნოემბერს ლორდ სოლისბერმა გილდხოლში სიტყვა წარმოთქვა და კმაყოფილებით აღნიშნა მარშანის მიერ ფაშოდის დატოვება. ყველასათვის ნათელი შეიქნა ინგლისელების დიპლომატიის გამარჯვება, მხოლოდ საფრანგეთის კი მკაცრად დამარცხება. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია პატრიოტულ პარტიათა შორის, თუმცა უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან ნათლად ჰქონდათ, წარმოდგენილი საფრანგეთის ფლოტის უძლურება ინგლისელების ფლოტთან შედარებით. მართალია რუსეთი, როგორც საფრანგეთის მოკავშირე, დახმარებას აღმოუჩენდა მას, მაგრამ ინგლისის ფლოტი მაინც უძლეველი იქნებოდა და ამგვარად, საფრანგეთი დამარცხებული დარჩებოდა. გარდა ამისა, საფრანგეთი ეჭვის თვალით შესცქეროდა გერმანიას, რომელიც ადვილი შესაძლებელია ისარგებლებდა საფრანგეთის მდგომარეობით და ხმელეთით თავს დაესხმოდა, ხმელეთით იერიშების მიტანა გერმანიას როდი უძნელდებოდა, რადგან საფრანგეთს თავის საზღვრები ციხე-სიმაგრით არ ჰქონდა დაცული.

გაითვალისწინა რა ყველა ეს გარემოება, საფრანგეთის მთავრობა იძულებული შეიქნა ინგლისელების მოთხოვნილება შეესრულებია და ფაშოდის საკითხში გამარჯვება ინგლისელებისათვის დაეთმო, მაგრამ მეზობლური დამოკიდებულება მათ შორის მაინც არა მეგობრული ხასიათის იყო. ფრანგები ვერ შეურიგდენ თავიანთ დიპლომატების სასტიკათ დამარცხებას და ინგლისს როგორც მოსისხლე მტერს ისე უყურებდენ. ზოგიერთი შოვინისტური გაზეთი ამ რიგათაც კი სვამდენ საკითხს: რომელი უფრო საშიში მტერია—ინგლისი თუ გერმანიაო?

ამგვარი განწყობილება სუფევდა ამ ორ სახელმწიფოს შორის, როდესაც ინგლისელებსა და ბურებს შორის ომი ატყდა. რა თქმა უნდა ფრანგების მთელი სიმპატია ბურებისაკენ გადიხარა. საფრანგეთის პრესა ყოველ საშუალებას ხმარობდა ინგლისელები ზნეობრივათ დაემარცხებიათ. მთავრობამაც იგივე ზომებს მიმართა. მან საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა მხატვარი ლეანდრი, რომელმაც რამოდენიმე მოხდენილი კარიკატურა დახატა დედოფალ ვიქტორიაზე. ამ გარემოებამ ოფიციალური პროტესტიც კი გამოიწვია ინგლისელების მიერ.

პოლიტიკური მოღვაწეები მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ბურების მატერიალურ მხარის უზრუნველყოფაში. ერთი სიტყვით, ფრანგები ყოველ საშუალებას და ზომებს ხმარობდენ აღენიშნათ ბურებისადმი სიმპატია.

განსაკუთრებითი ხასიათი მიიღო ამ სიმპატიამ, როდესაც ტრანსვაალის რესპუბლიკის პრეზიდენტი საფრანგეთს ესტუმრა. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ის ორჯერ მიიღო. თემთა პალატამ მას ერთხმად გამოუცხადა თანაგრძნობა. იგივე განმეორდა მეორე დღეს სენატში. მათ შორის აღარ სჩანდა დასასრული ინგლისელების და ფრანგების შორის მტრულ განწყობილებას, მაგრამ, აი ინგლისის სამეფო ტახტზე ადის ედუარდ *VII*. დღიდან მისი გამეფებისა იწყება კარგი და მეგობრული განწყობილება საუკუნოებით გადაკიდებულ სახელმწიფოთა შორის. ამის მიზეზი შეიქნა თვით მეფის პოლიტიკა და მისი თვისებები. მემკვიდრეობის დროს ის საფრანგეთში სცხოვრობდა, განსაკუთრებით კი პარიზში, სადაც მრავალი ნაცნობ-მეგობრობა ჰყავდა პოლიტიკურ მოღვაწეთა და დიპლომატთა შორის. მათი დახმარებით მეფე ედუარდი შეეცადა კავშირით შეკროდა საფრანგეთს, რადგან თვით საქმის მდგომარეობა მოითხოვდა ამას: გერმანია დღითი დღე ძლიერდებოდა და ინგლისს მარტო ეკონომიურად კი არ ემუქრებოდა, არამედ პოლიტიკურადაც. ინგლისის წინ წარმოიშვა დიდი და მასთან საშიში საკითხი—„სამშობლო განსაცდელშია".

საკმარისია გაკვრით განიხილოთ ინგლისელების მოქმედება, რომ დარწმუნდეთ შემდეგში: ინგლისი ყოველთვის შიშის თვალით შესცქეროდა რომელიმე სახელმწიფოს გაძლიერებას და ყოველ ღონეს ხმარობდა მის ძლიერებისათვის ფრთა შეეკვეცა.

XVI საუკუნეში ამგვარ სახელმწიფოთ ისპანია ითვლებოდა- XVII საუკ.—საფრანგეთი, და ინგლისი მოთავე შეიქნა კოალიციისა ლიუდოვიკ XIV წინააღმდეგ. XVIII საუკ. დასასრულ რევოლიუციონურათ საფრანგეთი და XIX ს. დასაწყისში—საფრანგეთი ნაპოლეონისა, ნიკოლოზ I დროს—რუსეთი და სხვა. ეხლა ინგლისის თვალ წინ თან-და-თან ძლიერდება გერმანია. მისი ბრჭყალები გულში ესობა ინგლისს და მის სახელმწიფოს სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს უყენებს. რა თქმა უნდა ინგლისი ძველებურად შეეცდება მისს დაუძლურებას, ხოლო შებრძოლებას მასთან ვერ ბედავს. გერმანიის იმპერიალიზმის დასამარცხებლად საჭიროა მძლავრი კოალიცია და სწორეთ ამ კოალიციის შედგენას სცდილობს ედუარდ VII. მისი უახლოვესი მიზანი—საფრანგეთთან კავშირია და ამ მიზნის მისაღწევათ ედუარდ VII საფრანგეთში ჩამოდის 1 მაისს 1903 წელს საფრანგეთის პრეზიდენტს ლუბეს სანახავათ, მათ შორის იმართება ლაპარაკი ინგლის-საფრანგეთის დაახლოვების შესახებ. დიპლომატიაც დაუღალავად მუშაობდა. მოლაპარაკება დიდი საიდუმლოებით იყო მოცული, მხოლოდ 8 ოკტომბერს 1904 წელს გამოქვეყნებული იქნა საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმების პირობები. ამ შეთანხმების ძალით საფრანგეთი მოვალე შეიქნა სამუდამოდ უარი განეცხადებია ეგვიპტეში რომელიმე ტერიტორიის დაპყრობაზე, ხოლო ინგლისი თავის სრულ მფლობელობას აღიარებდა ეგვიპტეში, თავის მხრივ ინგლისი

ბატონებო! სირცხვილია, სირცხვილი, მეტი რომ არა ვ'თქვათ, მტერი დაგვცინებს და გაიხარებს, მომავალი თაობა გვისაყვედურებს.

კიდევ უნდა გავიმეორო: კითხვა ქართული ენის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების შესახებ, ამ ენის სავალდებულო საგნათ გახდომის შესახებ ჩვენ საშვალო სასწავლებელში დიდი ხანია, რაც უნდა გადაჭრილიყო; მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის არავერი გაკეთებულა. დღეს, როგორც ხედავთ, ეს კითხვა მომწიფდა. მისი გადადება სხვა დროისთვის საზარალოც არის და ჩვენი თავმოყვარეობის კიდევ უფრო შემლახველიც.

ეხლა, ჩემის ფიქრით, კარგი დროა. მთავრობას ჩვენმა ხალხმა კიდევაც დაუმტკიცა სიტყვით და საქმით ერთგულება, გადაუშალა თავისი გული, გააცნო თავისი არსება. ამის უტყუარი მოწამე- ის დიდი მსხვერპლია, რომელიც ქართველმა ერმა გაიღო და მიაქვს დღესაც სახელმწიფოს საერთო გაჭივრება-განცდის დროს.

კეთილი საქმისთვის ბევრ კეთილს ველით ჩვენც და ნუ თუ ამისთანა უბრალო და ამასთანავე კანონიერი მოთხოვნა, როგორც არის ქართული ენის სავალდებულო საგნად გახდომა საშვალო სასწავლებელში, ეს სრულიად, ვიმეორებ, სამართლიანი და არავითარი ზიანის მომტანია, ვისმესთვის ან რამესთვის, მოთხოვნა, არ იქნება დაკმაყოფილებული და შეწყნარებული?

ყველას კარგათ მოეხსენება, რომ სამი წელია მთავრობამ კერძო სასწავლებლებს ნება მისცა მშობლიურ ენაზე ყველა საგნების სწავლებისა და არ მესმის რატომ უნდა სთქვას უარი მთავრობამ ქართული ენის სავალდებულო საგნად გამოცხადებაზე საშვალო სასწავლებელში, რასაც, ეჭვი არაა, არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლება ვისმესთვის ან რამესთვის, გარდა სარგებლობისა.

არ მესმის, როდემდის უნდა იყოს ასე აბუჩად აგდებული ქართული ენა? როდემდის უნდა უცქეროდეთ მას ზედმეტ ბარგად?!

დროა, ჩემის ფიქრით, ამ სამწუხარო მოვლენას ბოლო მოეღოს; დროა, ჩვენი ერის შეგნებულმა ელემენტმა იზრუნონ ქართული ენის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების შესახებ, ამ ენის გამტატების შესახებ საშვალო სასწავლებელში.

გადადება ამ სიმპატიურ საქმის, თუ ვინმე დაიჯერებს, დიდი შეცდომა და დანაშაულობა იქნება საზოგადოების შეგნებულ ნაწილის მხრით.

გორგი.

——

P. S. იმედია, ყველა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, რომლებსაც ქართული ენის დღევანდელი მდგომარეობა საშვალო სასწავლებელში ნორმალურად არ მიაჩნია, რომლებსაც ეს ენა „ზედმეტ ბარგათ“ არ უკვნია, გადაბეჭდენ ამ წერილს და რაც უმთავრესია, თითონაც დაილაპარაკებენ ამ სამწუხარო მოვლენის შესახებ, მიგვითითებენ იმ უტყუარ გზებზე, იმ საშვალებებზე, რითაც შესაძლო იქნება ამ მოკლე დროში ქართული ენის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება, გამტატება. **გ.**

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

✦ გუშინ სააგენტოს დეპეში არ მიგვიღია.

✦ **მატარებლის დაჯახება.** კვირას, დილით, რიონის სადგურზე მივიდა ქუთაისიდან მიმავალი ბათომის მატარებელი. მატარებელი მეისრემ პირველ ლიანდაგში შეუშვა. ამ ლიანდაგში იდგა ორთქლმავალი, რომელსაც მგზავრებით სავსე მატარებელი დაეჯახა. დაიმსხვრა ორი წინა ვაგონი. წინა ვაგონში ამის გამო მოკვდა ერთი ბავში სივრცოვისა დამარცხდა მძიმეთ ბავშის მშობლები და სხვა რკინის გზის მოსამსახურეები. დაშავებულია სულ ათამდე კაცი.

✦ ამ დღეებში დ. ხონში კალათების წვნის კურსები დაათვალიერა სახალხო სკოლების ინსპექტორმა ერმანმა. კურსები გაიხსნა ორი კვირის წინათ. კურსებზე დაიარებიან სოფლის მასწავლებლები.

✦ გუშინ ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოწვეული იყო სანოვაგის მომწყობი კომისიის კრება.

✦ **აბრეშუმის პარკი.** აბრეშუმის პარკის შემოსვლა ქუთაისის მაზრის ყველა დაბ-ქალაქებში შეწყდა. პარკის მოსავალი წინა წლებთან შედარებით ნაკლებია.

✦ ქუთაისის მაზრის წვრილი კრედიტის ინსპექტორმა ზ. ჯაფარიძემ კვირას, 12 ივლისს, განიხილა სოფ. ხრესილში ხრესილის მომავალი წვრილი კრედიტის ამხანაგობის საქმე. ამხანაგობის დამაარსებლებს უნდოდათ დაეარსებიათ ამხანაგობა, საწირისა, მანდიკორისა და გურნის საზოგადოებისათვის. მაგრამ ზ. ინსპექტორმა ეს უხერხულათ იცნო. ხრესილში ამხანაგობა დაარსდება მხოლოდ საწირის საზოგადოებისათვის. მანდიკორის საზოგადოებაში წვრილი კრედიტის ამხანაგობა ცალკე დაარსდება.

✦ ქუთაისის კომერციული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას სამინისტროდან ქუთ. კომერციული სასწავლებლის წესდება ჯერ არ მიუღია.

✦ **თეატრი.** კვირას, 12 ივლისს, ქალაქის თეატრში საზოგადოების დაუსწრებლობის გამო წარმოდგენა არ შესდგა. წარმოდგენა 19 ივლისისათვის გადაიდვა.

✦ შაბათს, საოლქო სასამართლომ გაარჩია იაკობ ვაშაკიძის საქმე. მას ბრალდებოდა სოფ. ჯიქთუბანში მისი მეზობლის მიხ. მესხის სახლის დაწვა. სასამართლომ ბრალდებული გაამართლა.

✦ **ქურდობა.** 12 ივლისს, ღამით სალორიაზე, ქალაქის სასაფლაოს მახლობლად გაგაშვილის სახლში ღამით შევიდა რამდენიმე ბოროტ გამზრახველი და მთელი სახლი გაქურდეს. წაიღეს სახლის სხვა და სხვა მოწყობილება. 25 მ., ფულად, სიმინდის ფქვილი, ლოგინი და სხვა. სულ 150 მანეთად ღირებული. ბოროტ გამზრახველები პოლიციამ აღმოაჩინა.

✦ ამავე ღამეს გეგუთის ქუჩაზე მელიტონ ნიკოლეიშვილის დაკეტილ დუქნიდან მოიპარეს 100 მანეთი ფული.

✦ **სურსათი.** 6 ივლისიდან 12 ივლისამდე ქუთაისის სადგურზე შემოვიდა შემდეგი სანოვაგე: 6 ვაგონი პურის ფქვილი, 1 ვაგ. ქატო, 9 ვაგონი სიმინდი, 971 ფუთი შაქარი, 12 ვაგონი შეშა, 5 ვაგონი თივა, 3 ვაგ. ქვანახშირი, 2 ვაგ. მარილი, და 4,812 ფუთი სხვა და სხვა საბაკალეინო ნივთები.

✦ ბალის ქუჩის პირველი შესახვევი ამ ჟამათ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს.

✦ 15 ივლის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში საჯარო ვაჭრობით გაიცემა 15 დესეტინა სალორიის ტყე შეშის დახამზადებლათ.

✦ ქალაქის გამგეობამ ჯარში გაწვეულთა ოჯახებს ხაზინიდან მიღებული ფული უკვე დაურიგა.

✦ როგორც სოფ. საჯიჯაოდან (ზუგდიდის მაზრა) გვწერენ, 30 ივნისს სახლიდან გამოუხმია, ანტონ ჰანტურაია ვილაც ორ უცნობს და იქვე მოუკლავთ.

✦ ამ მოკლე ხანში სოფ. ამაშუკეთში გაიმართება დრამატიული საღამო იუმორისტიული განყოფილებით. წარმოადგენენ ვ. გუნიას „დაძმას“.

მოწერილი ამბები.

დ. ხონი. ხონის თვალსაჩინო მოღვაწე მიშა ქუთათელაძე დაკრძალეს კვირას, 2 ივლისს. მის დაკრძალვას უზომო საზოგადოება დაესწრო. დილის 10 საათზე განსვენებულის ცხედარი გამოიტანეს და მისივე ეზოში—ჩრდილში დაასვენეს. აქ მას ხონელ ამხანაგების სახელით სიტყვა უთხრა ვ. ბახტაძემ. კუბო ბაზრამდი თანამოაზრე ამხანაგებს მიქონდათ. ბაზარში ბანკში მოსამსახურეებმა გაატარეს და შემდეგ კი სოფლელებმა წაიღეს. ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებასთან მეორე სიტყვა უთხრა ამ საზოგადოების თავმჯდომარემ მათე ბახტაძემ; შემდეგ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წინ გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა ი. გორდაძემ. თვით ეკლესიაში ქუთაისურ ამხანაგების დავალებით უკანასკნელათ გამოეთხოვა მოკლე, მაგრამ მოხდენილი და შინაარსიანი სიტყვით გრ. ლოლიძემ.

——

წარმოდგენების საზაფხულო სეზონი წელსაც მოეწყო აქეთ. ამ ერთი თვის წინათ აირჩიეს გამგეობა და დაავალეს სეზონის გახსნაზე ზრუნვა. სეზონი უკვე გაიხსნა და ექვსი წარმოდგენა ამ სეზონში გაიმართა კიდეც. აღსანიშნავია, რომ წელს წარმოდგენებს ხალხი ბლომათ ესწრება. თითქმის ყოველ წარმოდგენაზე თეატრი ხალხით სავსეა. წელს ხონში მოწვეული არიან. ნ. ჯავახიშვილი, ა. კავთელი და გვარაძე. დროგამოშვებით ჩამოდის ვ. შალიკაშვილი. წარმოდგენებს რეჟისორობას უწევს გვარაძე.

——

პარკის სეზონი [illegible] წელს აბრეშუმს [illegible] ვინც მოიწია [illegible] და. ძალიან ცუდი გავლენა იქონია იმ ხმებმა, რომლებიც აბრეშუმის თესლის შეძენის დროს ვრცელდებოდა. ამბობდენ წელს ფასები არ ექნება პარკს და ესეც არ იყვეს, რაიმე სახადი გავრცელდება და ჰიას პოლიცია გადაყრისო. შეუგნებელმა ხალხმა ამ ხმებს მართლა დაუჯერა და აბრეშუმი გავრცელებული ხმების შიშით არ დაიჯინა.

——

აქ ცხოვრობს ერთი მკითხავი ქალი. ეს ქალი სამტრედიის ქუჩაზე დგას. ამ ქალთან საკითხავათ ბევრი ხალხი დადის. მკითხაობას თუ ხონში ამდენი გასავალი ექნებოდა, სწორეთ არ მეგონა. ჩანს, სკოლების სიმრავლე უძლური ყოფილა ხალხის უვიცობისაგან დ. ხონში. გაუნათლებელსა და უსწავლელს რა ეთქმის, როდესაც ბევრი განათლებული ვაჟბატონიც ხშირი სტუმარია ამ ქალისა. ხონში თითქმის ყველა ნასწავლმა ქალმა აკითხვინა ამ მკითხავს. სირცხვილია იმათ, რომლებსაც უსწავლიათ და კიდევ ასეთ უვიცობას ჩადიან.

——

ხალხის გაჭივრებულსა და აუტანელ მდგომარეობაში არ შევიდნენ სულიერი მამები და ხალხს დრამის ფული არ აპატიეს. დრამის ფულის მოკრება საზოგადოებაში უკვე დაიწყეს, მაგრამ ხალხს ხელმოკლეობის გამო ძალიან უჭირს ამ ფულის გადახდა. არ აპატიეს დრამის ფული არც იმ ოჯახებს, რომელ ოჯახებსაც თავისი მარჩენალი და ოჯახის ერთად ერთი მუშა ხელი ომში ყავს გაგზავნილი. ასეთ ოჯახების მდგომარეობაში მხოლოდ ორი ღვდელი: კ. ქუთათელაძე და ა. ადამია შევიდა. მათ ჯარისკაცთა ოჯახებისათვის დრამის ფული უპატიებიათ. სულიერ მამებს არ შეშვენით, რომ მათ დრამის ფულში გლეხს ოჯახის ავეჯეულობა გაუყიდონ. თუ არ შევიდნენ თავის სამწყსოს მდგომარეობაში, ამით ხალხს ეკლესიისა და სარწმუნოებისადმი რწმენას დაუკარგავენ.

გ. ხონელი.

ლეჩხუმი.

იშვიათად ახსოვს ლეჩხუმს ისეთი ცუდი ამინდები, როგორც წელს არის: მთელი ზაფხული, თითქმის ყოველ დღე წვიმს, რის გამოც მუშაობა ჭირს და მეორეს მხრით წვალებითა და ტანჯვით ნამუშევარიც უფუჭდებოდა მუშა სიმინდი ამოლპა, ბევრ ალაგს ორჯელ დათესეს და მაინც თხლათ ამოვიდა, რაც ამოვიდა ისიც ვერ გაიზარდა ხეირიანათ, პურები ბევრგან წაახდინა წვიმებმა და ვენახები მაისის დამლევს მოსულმა თოვლმა ხომ კიდევ უფრო განადგურდა, ასე რომ ლეჩხუმი, რომელიც ყოველწლივ კვებავდა სვანეთს და რომელმაც წელს იმერეთსაც კარგა ბლომად მიაწოდა სიმინდი, სიმშილის შიშმა შეიპყრო, რადგანაც მოსავალს პირი სრულიად აღარ უჩანს.

მაგრამ ლეჩხუმს ამ დღეებში უფრო დიდი უბედურება ეწვია, რის გამოც მრავალ ოჯახს არა თუ ამა წლის მოსავალი, არამედ სამუდამოთ მოუსპო სარჩო საბადებელი და ბევრი იმსხვერპლა თვით ადამიანიც. 23 ივნისს საღამოს წამოვიდა წვიმა, რომელიც თანდათან მატულობდა და 24-ს ღამეს დაუშვა კოკისპირულად. 26 ივნისს დილამდე წვიმდა შეუწყვეტლივ. სამი დღის გადუღებელმა წვიმამ გამოიწვია დიდი მეწყერები და ნიაღვრობა, რომლებმაც დაჰქციეს, თითქმის ყოველ სოფელში, მოიტაცეს შინაური ცხოველები, სახლები და რაც უფრო საშინელებაა—ადამიანებიც.

ცხენისწყლის ხეობაში ყველა სოფელზე დიდი უბედურება სოფელ ზუბს ეწვია, სადაც აზვირთებულმა ღელემ („კვერეშულამ“) დაანგრია 20-მდე სახლი და დაარჩო 29 ადამიანის სული.

სოფელი ზუბი მდებარეობს დაბა

წინააღმდეგობას არ გაუწევდა საფრანგეთს მაროკოს საკითხში ოა მას მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებდა. შეთანხმების პირობები გრეთვე შეეხო ნიუფაუნდლენდის ათევზის ხაჭერ ალაგებს, გებრიდის კუნძულებს, სიამს და სხვა. მართალია საფრანგეთს ეკარგებოდა უფლება მომავალში მაინც მოეხდინა ეგვიპტეში ექსპედიცია და ამნაირად თავის გულის წადილი სისრულეში მოეყვანა, მაგრამ სამაგიეროდ ინგლისი მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებდა საფრანგეთს მაროკოში, ამიტომაც, პირობები მეტად ხელსაყრელად იქნა შედგენილი საფრანგეთისათვის. ამას თვით ინგლისიც ნათლად ხედავდა, მაგრამ ამგვარი პოლიტიკით ინგლისი საფრანგეთის გულს იგებდა და მეგობრად იკიდებდა. დღეიდან საფრანგეთი ერთგული მოკავშირე შეიქნა ინგლისისა. ამგვარად ედუარდ VII ნახევრად მიაღწია თავის მიზანს; წინ აქვს მეტად რთული საქმე—რუსეთთან დაახლოვება. მართალია ინგლისი რუსეთის ოფიციალურ მოკავშირეს—საფრანგეთს შეუკავშირდა, მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ აადვილებდა საქმეს და სრულიად არა სპობდა იმ არა მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელიც სუფევდა რუსეთ-ინგლისის შორის. რა იყო მიზეზი მათ შორის არა მეგობრული დამოკიდებულებისა?

როგორც ზემოთ ვსთქვით ინგლისი რუსეთის ძლიერების დასუსტებას ხელს უწყობდა იმპერატორ ნიკოლოზის I მეფობის დროს. ინგლისს წარმოდგენილი ქონდა, რომ ნიკოლოზ I ანხარციელებს ნაპოლეონის პოლიტიკას და ხმელეთზე ბატონობის მოპოვება სურს. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, დიდ ცვლილებას მოახდენდა ევროპაში და ევროპაში კი „status quo“-ს დარღვევა ინგლისს არ სწადია, ამიტომ ის მხოლოდ მიზეზის ძიებაშია, რათა რუსეთის წინააღმდეგ გამოილაშქროს და ეს უკანასკნელი დააუძლუროს. მიზეზიც მალე გამოჩნდა. ატყდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, ეგრეთ წოდებული ყირიმის ომი, და ინგლისი არამცთუ ოფიციალურად ხელს უწყობს ოსმალეთს, არამედ სხვა სახელმწიფოებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ გამოილაშქრა. ამ დროს ნიკოლოზი I გარდაიცვალა და რუსეთი დროებით დასუსტდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით იყო. დროებით მკაცრი, არა მეგობრული დამოკიდებულება რუსეთ-ინგლისის შორის შესუსტდა, მაგრამ მეგობრული დამოკიდებულება მათ შორის მაინც არა სუფევდა. მალე მტრული განწყობილება მათ შორის კვლავ ფეხს იდგამს, მხოლოდ მეტი ძლიერებით და შურისძიებით და პორტსმუნდის ხელშეკრულამდე იაპონიასთან გრძელდება.

1877 წელს კვლავ ატყდა რუსეთ-ოსმალეთის ომი და რუსების ჯარი სტამბოლს მიადგა. ინგლისი კვლავ წინააღუდგა რუსეთის სურვილს და სტამბოლის დაკავებაზე პროტესტი გამოუცხადა. თანაც ოსმალეთს ესკადრა გაუგზავნა დასახმარებლად. ამ გარემოებამ რუსეთი აიძულა თავის განზრახვა სისრულეში არ მოეყვანა და სტამბოლის დაკავებაზე ხელი აეღო.

ამის შემდეგ მტრული განწყობილება ინტენსიურად წინ მიიწევა. თანაც რუსეთი თანდათან ძლიერდება და რა თქმა უნდა ინგლისი გულდამშვიდებული არ იქნებოდა. გარდა ამისა ხელს უწყობდა ამ მდგომარეობას შემდეგი: რუსეთის გავლენა ავღანისტანში, ინდოეთის საზღვარზე, დღითი დღე მატულობს. ინგლისელები ვერ შეურიგდებიან რუსეთის გავლენას ავღანისტანში და აქედან კი ინდოეთში, რადგან ინგლისს დიდი სავაჭრო ბაზარი აქვს ინდოეთში და მისი შემცირება რა თქმა უნდა ეკონომიურად შეასუსტებდა ინგლისს. ამგვარ შემასუსტებელ ძალათ რუსეთს სთვლიან და, როგორც პრესსა, აგრეთვე ხალხიც მოითხოვს რუსეთის წინააღმდეგ გამოლაშქრებას. მტრული განწყობილება რუსეთ-ინგლისის შორის ინტესიურად წინ მიიწევდა, მაგრამ ატყდა რუსეთ-იაპონიის ომი და ინგლისმა ყოველ მხრის დახმარება აღმოუჩინა იაპონიას. დასრულდა რუსეთ-იაპონიის ომი პირველის დამარცხებით. გარდა ამისა რევოლიუციონური მოძრაობა მოევლინა რუსეთს. რუსეთი ყველა ამ გარემოებამ დროებით დაასუსტა და ამიტომ დღეიდან ის აღარ არის საშიში მტერი ინგლისისა. 1904 წელს კი ინგლისი რუსეთის მოკავშირეს შეუკავშირდა, ცხადია მას სწადია რუსეთთან კავშირი და მით თავის მიზნის სისრულეში მოყვანა. ამიტომ, როდესაც რუსეთ იაპონიის შორის ხელშეკრულობაზე მოლაპარაკება დაიწყო, ინგლისი, ოფიციალური ხელის შემწყობი იაპონიისა, რჩევას აძლევდა უკანასკნელს კონტრიბუცია არ მოეთხოვა რუსეთისგან და ზოგიერთ მოთხოვნილების მუხლებში დაეთმო რუსეთისათვის. ამგვარი მოქმედებით ინგლისელები რუსების გულს იგებდენ. მარტის შუა რიცხვებში 1907 წ. ინგლისში გამოცხადებული იქნა, რომ ინგლისს მოლაპარაკება აქვს გამართული რუსეთთან სპარსეთის და ზოგიერთ ადგილების შესახებ, სადაც ორივე სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს ეჯახებიან. არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რაც გამოქვეყნდა რუსეთ-ინგლისის შეთანხმება. ამგვარად დასრულდა მთელი საუკუნოებით მიმდინარე მტრული დამოკიდებულება ამ ორ სახელმწიფოს შორის და შესდგა სამთა შეთანხმება. მართალია, როგორც ინგლისში, აგრეთვე რუსეთშიაც მოიპოვებოდენ საზოგადოებრივი ელემენტები, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდენ რუსეთ-ინგლისის ასე მოულოდნელად შეკავშირებას, მაგრამ ეს ეჭვი გაიფანტა, როდესაც მეფე ედუარდი VII რეველში ჩამოვიდა და რუსეთის იმპერატორი ინახულა. ორივე მეფეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს რუსეთ-ინგლისის შეკავშირება. მეორე დღეს მთელმა ევროპის პრესამ სამთა შეთანხმება აღნიშნა. ედუარდ VII მიზანს მიაღწია და გერმანიის იმპერიალიზმის დასამარცხებლად კოალიცია შეადგინა. დღეიდან ამ კოალიციის შედგენისა ინგლისი აღარ ეკიდება მორიდებით გერმანიას, როგორც ამას წინეთ შვებოდა. დღევანდელი ტიტანიური ომი ნათლად გვიხატავს სამთა შეთანხმების ერთსულოვნობას გერმანიის იმპერიალიზმის დამარცხებაში.

ლევან გეგუელი.

ცაჟერიდან სამხრეთით 14 ვერსის მანძილზე. აღმოსავლეთით ამ სოფელს ჩამოუდის მდინარე ცხენის-წყალი და გადმოყურებს ხვამლის მთა, ხოლო დასავლეთით გაუმაცქერის ასხის მთა, რომლის კალთებზეც აქვს სათავე მორჩილ ღელე „კვერეშულას“, რომელიც ჩამოიარს ს. ზუბზე და ერთვის ცხენის-წყალს. ჩრდილოეთით ზუბს ცოტა მოშორებით (ნახევარ ვერს.) ჩამოუდის მოზრდილი მდინარე—ჯონოული, რომელიც წვიმების დროს მატულობს და აძნელებს მიმოსვლას.

ზუბის უბედურების ამბავი 26 ივნისს გაისმა, მაგრამ ვინაიდან ხიდები ცხენის წყალზე და ჯონოულ კვერეშულაზე წყალს წაეღო, ზუბს მისვლა ვერავინ შესძლო 29 ივნისამდე, როდესაც საცალფეხო ხიდის გაგება მოხერხდა ჯონოულზე. მხოლოდ ამ დღეს მოგვეცა საშუალება ზუბის დათვალიერებისა და მცხოვრებლების უბედურების თვალდათვალ ნახვისა.

25 ივნისის საღამოს, დაახლოვებით 9 საათზე, უეცრათ დაცემია სოფელს მოხსენებული ღელე „კვერეშულა“ და გაუტაცნია ცხენის-წყლისაკენ რამოდენიმე ოჯახი კუხალაშვილების, რომლებიც კარგა მაღლობზე ესახლნენ, შემდეგ ჩაკვეტაძეებისა და მამარდაშვილების. ზოგს გამოუსწრია სახლებიდან, მაგრამ უმეტესობა სიბნელისა და სიწრაფის გამო სახლებშივე მოქცევია და გამხდარა მსხვერპლი მოზღვავებული წყლისა, საშინელ სურათს წარმოადგენს ამ ჟამათ სოფ. ზუბი: ხალხი გარს უვლის სილითა და ქვებით ავსებულს ადგილს, სადაც ბევრი კოხტათ მორთული კარ-მიდამო იყო და რამდენიმე დღის წინეთ სიცოცხლე დუღდა, მაგრამ ახლა იქ ნამოსახლის მაჩვენებელიც აღარაფერია თუ მივიღებთ მხედველობაში იქა-აქ გაფანტულს ფიჩხრებს, კარების და სახლის სხვადასხვა ნაწილების ნატეხებს, რომლებიც უხმოდ მოწმობენ პატრონთა სასტიკ უბედურებას. დამრჩენილთ ნათესავ-მეგობრები უხლოვდებიან ნაცნობთ ნამოსახლებს, რის გამორჩევაც ხშირათ ძნელიცაა, და დატირიან უბედურთ, რომ მათ არ ეღირსათ მშვიდი სიკვდილი, უდროოდ პოვეს აღსასრული მდინარის ტალღებში და ვინ იცის რომელი სად გდია ლელე-ღულეში.

ცხარე ცრემლებს აფრქვევდა გაპარტახებულს ადგილს ერთი მანდილოსანი, რომელიც მოთქმით გვიამბობდა, თუ როგორ ჩაკვროდა გულში დედა თავის ძუძუმწოვარა შვილს, მამა უკვე მოსწრებულს ვაჟს, ძმა ძმას... და ისე ერთად შთაინთქა აბობოქრებულს ტალღებს. ბევრს ოჯახიდან მახრობელიც აღარ დარჩენილა, ზოგან თითო ბავშვი დარჩა უპატრონოთ, ზოგან თითო ორ-ოლა ქალ-ვაჟი.

მნახველები მეტათ გაგვანცვიფრა ამ პატარა ღელის ამ რიგად გადიდებამ; კალაპოტიდან რამდენიმე ათეული საჟენის სიმაღლეზე ასულა და წაუღია სახლები, მაგრამ როგორც გამოირკვა ეს შემდეგის მიზეზით მომხთარა: სათავის მახლობლათ „ასხის“ მთის კალთებიდან მოწყვეტილა ქვიანი მიწა და გაუგუბავს უმისოთაც ადიდებული „კვერეშულა“. როდესაც დაგუბებულმა წყალმა გზა იპოვა, ერთბაშათ წამოვიდა, რასაკვირველია ყოველივეს წალეკავდა ახლო მახლო, და იმდენი ქვიშა და უზარ-მაზარი ქვები ჩამოიტანა, რომ შეერთებისას გაუგუბავს თვით ცხენის წყალი თითქმის 16 საჟენის სიმაღლეზე და ეს წყალი ცხადია დაბლაც დიდს ზარალს მიაყენებდა მცხოვრებლებს, მაგრამ უგზოობის გამო ჯერ-ჯერობით ამის არა ვიცით რა.

29 ივნისს ზუბი და 30 ს სოფ. ისუნდერი დაათვალიერა ლეჩხუმის მაზრის უფროსის თანაშემწემ თავადმა ალი გარდაფხაძემ ბოქაულის თანხლებით და შეკრიბა ცნობები აგრეთვე სხვა სოფლებისაც. ცხენის წყალის ხეობაში იშვიათია სოფელი, რომ წყალსა და მეწყერს რამდენიმე მოსახლე არ აეყაროს, როგორც ცნობებია ძლიერ დაზარალებულია შემდეგი სოფლები: ისუნდერი, ქულბაქი, ჩქუმი, ლარჩვალი წიფერჩი, ბარდნალა, ლუხვანო, ალვი და რომელი ჩამოვთვალო, თითქმის ყველა. განსაკუთრებული ყურადღება ამათავათ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ უნდა გზებს მიაქციოს, რომლებიც ახლა თითქმის ყველგან გაფუჭებულია და ხალხი დამოუკიდებლათ, თუ ადმინისტრაციის ინიციატივა არ იქნა, ვერ გააკეთებს და რაც პური გადარჩა ცუდ ამინდების უგზოობით დაიკარგება.

უნდა ვაღიარო რომ აქ ხალხში პესიმისტური სულის კვეთება იკიდებს ფეხს თან და თან ჭირი და ლხინში მუდამ გაჭივრებაზეა ბაასი: ომიანობას დასასრული აღარ უჩანს. გურია—სამეგრელოში სიმშილობა დაიწყო, გაისისთვის ჩვენც იქნებ იგივე მოგველის; უბედურებას უბედურება ემატება... გაისმის ყველგან სადაც ხალხი თავს შეიყრის. ხალხის ძლიერი სევდა განსაკუთრებით „ტირილსა და სახიარულო დღეობებს ემჩნევა: მიცვალებულის გამო ტირილს სიმწვავე დაეკარგა, გგონია ხალხს წუხარებამ ცრემლები გაუშროვო, სადღესასწაულო დღეებშიც ხან უგულოთ მხიარულობენ, ხან კი გადაჭარბებით (განსაკუთრებით ახალგაზდობ) თითქოს თავდავიწყებას ეძლევიანო, აქ ხშირად გაიგონებთ თავისებურათ გადაკეთებულს ხმას: „სწრაფია ვით ტალღა ცხოვრება ჩვენი... და სხვა“.

საჭიროა ზნეობრივი და ნივთიერი თანაგრძნობა, რომ ხალხს სევდა გაუქარდეს და არ იქცეს სასოწარკვეთილებათ, რაც ჩვენი ერის მომავალისთვის დიდი უბედურება იქნება...

განსაკუთრებით მივაქცევ თქვენს ყურადღებას აგრეთვე შემდეგს: მეწყერ-ნიაღვარის წყალობით ბევრი იძულებულია სამოსახლო გამოიცვალოს და ვინაიდან აქ ადგილის სივიწროეა... აქა იქ ხმა გაისმის, რომ „პრიგოვორები“ უნდა დავადგინოთ და მთავრობას ვსთხოვოთ ადგილი მოგვცესო, ზოგნი ასეთ ადგილებსაც ასახელებენ ადილერისაკენ, და თუ ეს მართალი მოხთა, ვინ იცის სად მიუჩენენ მათ ადგილს, ყოველ შემთხვევაში არა იქ, სადაც ქართველთათვის საჭიროა. დავუფიქრდეთ ამ მოვლენას და თუ შესაძლებელია დავეხმაროთ ხალხს, რომ ჩვენება ჩვენშივე, ჩვენს მიწაზე დასახლდენ სხვების მაგიერ როგორც ეს ხდება.

ილ. ასათიანი.

ოკრიბის მხარე.

(ქუთაისის მაზრა).

ოკრიბაში ხშირათ ჩამოდის სხვა და სხვა საქმის შესასრულებლად ქუთაისიდან სასამართლოს ბოქაული გ. ჩაგანავა, მაგრამ არ იფიქროთ, რომ მან ინებოს ან სასოფლო სასამართლოში, ან ადგილობრივ მისვლა ვისთანაც საქმე აქვს. იმას ჩვეულებად აქვს გამოხტეს მატარებლიდან ორპირის ბაქანზე, (ქუთაისიდან 12 ვერსზე) და შევიდეს იქვე სოფლის დუქანში, სადაც დაიბარებს მომჩივან მოპასუხეებს 10—12 ვერსის მანძილიდან სადილით, მოწმეებით, თუ მოსაზღვრეებით, თუ გინდ 100—150 კაციც იქნეს—ან კი რა ენაღვლება, გაუდის და ასეც იქცევა. ნუ თუ ადვილია მათვის 10—12 ვერსის ცხენით ჯაჭული! იფიქრეთ თუ რამდენი ზარალი მოუდის სოფელს ამდენი კაცის უბრალოთ გაცდენით და უადგილო ადგილზე დაბარებით. ჩაგანავა ქუთაისიდან ორკეც 8—9 მან. „პროგონს“ ღებულობს, თან ხარჯის „суточный“ ფულს და ნუ თუ იმისთვის, რომ შუა გზაზე გაჩერდეს და იქ დაიბაროს და გააცდინოს ამდენი ხალხი?! იყო ასეთი შემთხვევა ახლაც, 4 ამ თვეს, დღით შაბათს; იმის მეტი კარგი ამინდი არც კი ღირსებია საწყალ ხალხს, მაგრამ ბევრი ხალხი მოცდა იმ დღეს მუშაობას ქვეიდან ორპირს დაბარებით.

საცოდავი სანახავი იყო იმ დღეს ერთი საწყალი გლეხის დათუძის ცოლი, რომელიც იმ დღეს დაიბარებია ჩაგანავას ქვეპიდან ადგილის საჩაბარებლად თავის მოსაზღვრეებით. მას ორი კაცი დაექირავებია და მათი დახმარებით მიქონდა წლის წყვეტით ხარჯი ბოქაულისთვის და მოსაზღვრეებისთვის. ყველაფერს თავი დავანებოთ, მაგრამ ნუ თუ ბოქაული ვალდებული არ არის, რომ ადგილის ჩაბარების დროს მაინც მივიდეს ადგილობრივ და ჩააბაროს?! სწორეთ რომ იტყვიან „სოფელი ვენახე უძღლო, შიგ გაიარე უჯოხოვო“ ეს ოკრიბაზე და გ. ჩაგანავაზე ითქმის.

კმარა, გ. ბოქაულო, დროა შეხვიდე საწყალი ხალხის მდგომარეობაში, თორემ მოვა დრო და არამც თუ უჯოხოთ, ჯოხითაც გაგიჭირდებათ სიარული.

გულშემატკივარი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატ. გაზეთში ამ წერილს იმ ცნობის საპასუხოთ, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „სამშობლოს“ ქრონიკაში.

ორმა პირმა ითავა არქიელის გორაზე წარმოდგენა გაგვემართა და გვთხოვეს სკაურ ახალგაზდობას მონაწილეობა მიგვეღო, რაზეც ჩვენ დავთანხმდით იმ პირობით, თუ ისინი ნაწილს აჭარლების სასარგებლოთ გადადებდენ. მართლაც შემოსავლის 25% უნდა გადადებულიყო აჭარლების სასარგებლოთ, დანარჩენით კი გასავალი დაგვეფარა. წარმოდგენა გაიმართა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა, რამდენსაც მოველოდით არ შემოვიდა და თუ მექრონიკე ამბობს—რადგან საღამო აჭარლების სასარგებლოთ იყო—აუარებელი ხალხი დაესწრო—ო.

საკმაო იყო, აჭარლებისადმი გულშემატკივარო, (sic) გაჩერებულიყავით კასასთან და მაშინ ნათლათ დაინახავდით რომ იმ საზოგადოებისგან, რომელიც მაშინ დაესწრო წარმოდგენას მეოთხედსაც არ ეჭირა ბილეთი. საღამოს თითოეულ მონაწილეს 4—5 სული ჟავდა შინიდან მოყვანილი. თუ არა და ანგარიშს სად წაუხვალთ. გაყიდული ბილეთები ხელთა გვაქვს პოლიციის ბეჭედით. ზოგი ბილეთი ჯვრად ნისიათაა წაღებული და ვინც არ მოიტანს თავის დროზე გამოქვეყნდება, რაც შეეხება იმას, ვითომ-და შემოსული ფული ამხანაგობას გაგვენაწილებია—ეს მტკნარი სიცრუეა; ის კი არა ბევრს ბილეთები გაება და იძულებული შეიქნა თავისი ჯიბიდან დაედო ფული ხარჯის შესამცირებლათ ისეთ საშუალებებს მივმართეთ, როგორსაც დღევანდელი ბევრი ახალგაზდა ითაკილებდა. მაგრამ რა მადლობის მაგიერ, შანტაჟისტობა დაგვწამეს და საქმის სინამდვილის გაუგებლათ გაზეთში მოათავსეს ყალბი ცნობა და მით შეურაცხყოფა მოგვაყენეს.

სიმართლის აღსადგენათ, ჩვენ—საღამოს მონაწილე ჯგუფი, გიწვევთ ბ. მექრონიკე, სამედიატორო სასამართლოში გაძლევთ ერთი კვირის ვადას დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა. თუ თქვენ მიერ გამოქვეყნებული ცნობა დამტკიცდა და ჩვენ გავმტყუნდით, მოვალენი ვართ საღამოს ხარჯი ჩვენ ვზღოთ და გაყიდული ბილეთების ფული სრულიად გადიდვას აჭარლების სასარგებლოთ. თუ ჩვენ გავმართლდით, მაშინ უფლებას ვიტოვებთ შესაფერი სახელი მოვუძებნოთ თქვენს საქციელს. მედიატორეთა განაჩენი პრესის საშუალებით ეცნობა საზოგადოებას.

ამხანაგობის მინდობილებით **სიმონი.**

P. S. გავასწორებთ რა ანგარიშს გადადებული თანხა დაუყოვნებლივ გადაეცემა სადაც ჯერ არს. ს.

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემ წერილს დაუთმოთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთში.

— მე არ მგონია ისეთი კაცი მოიპოვებოდეს ქვეყანაზე რომლითაც ვგედა კმაყოფილი იყოს და კერძო მტერი არ ჰყავდეს; აგერ ექვსი წელიწადია, რომ მოსვენება არ მაქვს, ხშირად უსახელო წერილებს მწერენ, რომლებშიაც მემუქრებიან სიკვდილს ან დარბევით, ხან ღამით ქვეშ მიშენენ და ფანჯრებს მილეწავენ: მე ჩემ თავს კიდევ არ ვსჩიოდი ცოლი და პატარა შვილები დაძინებული, რომ იყვნენ ქვით განადამ დამიხოცეს!

აი ეხლაც მივიღე წერილი რომელშიაც მათოხილებს ვიღაცა.

ჩემ წვალებას და ტანჯვას საზღვარი არ აქვს, არ ვიცი კარისთვის, რა დამიშავებია ვისმესთვის? შეიძლება მართლაც და რამე დანაშაული მიმიძღვის ვისმესთან და მე არ ვიცი, იმიტომ მე პირდაპირ მოვითხოვ საზოგადოებისაგან, გამოაკვლიონ ჩემი დანაშაულობა ან დასჯეთ ნაძირალებისაგან ერთხელ და სამუდამოთ დამიხსნან; ბოლოს მოლოდ უფლად მდაბალ ხარისხის ხასიათით მადლულ მოქმედებას. მე თამამათ ვდგავარებ სინიდისის წინაშე, რომ არავითარ ცოდვებს არა ვგრძნობ რომ მქონდეს. მაშ, საზოგადოების ზნეობრივი მოვალეობაა, თავისი წევრი დაიფაროს უსამართლო დევნისაგან; მე ვუნდი საზოგადოების განაჩენს, თუმცა დანიშნვის საზოგადოებამ ამ საგანზე ურიდობა მოახდინა და საქმის გამოსაძიებლად დამნიშვნის აღმოსაჩენათ სამი კაცი ამით საიმედო პირნი დანიშნა: 1, ნიტიფოპარაძე 2, ანანია მშვიდობაძე და 3, ილარიონ ფირცხალაშვილი

ვიმედობ ზემო აღნიშნული კომისია კეთილ სინიდისიერათ შეასრულებს საზოგადოების დავალებას

ფერშალი **ექვთიმე ონისიმესძე ორაგველიძე**

შეწირულობა.

გულითად მადლობას ვწირავ თავად ვარლამ ივლავს, რომელმაც განსვენებულის მიტოვშა ერისთავის ხსოვნის პატივსაცემოთ გიმნაზიას შესწირა 15 მან. ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. ბოდიშს ვიხდი ბ. ვარლამის წინაშე, რომ მადლობის გამოცხადება ცოტა დამაგვიანდა.

ქუთაისის საზოგ. [illegible]

ი. ოცხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ა.

(იხ. სამშ. 123 ე №)

ქართველ. შორ. წერა-კითხვ. საზოგად. ქუთაის. განყოფ. სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ სეირნობა ალეგრისათვის ქნეინა სოფიო ახვლედიანისამ მოაგროვა შეწირულება შემდეგ 6 პირისაგან:

თამარა ასათიანის ქალისაგან ორი ჩაის სალფეტკა. ნინო ნემსაძის ქალისაგან სარძევე. კნ. თამარა ახვლედიანისაგან—სასუხრეზედ გადასაფარებელი. კნ. ნინუცა ქობაქიძისაგან 2 მან. კნ. ნატაშა ჩიჯავაძისაგან სასუხრეზედ გადასაფარებელი. ქეთო ქორქაშვილის ქალისაგან 3 ყვავილის ვაზა. თვით კნ. სოფიო ახვლედიანისამ—ორი ვაზა, 1 საპურე, ერთიც სარძევე.

პაშა ანტონის ასულმა კემულარიასამ მოაგროვა შეწირულება შემდეგ 4 პირისაგან:

მინადორა ნიკოლოზის ასულმა მიქაბერიძისამ—ფინჯანი. პელინა ალექსანდრეს ასულმა ნაზაროვის ქალმა—4 არშ. ჩითი, ტატუ ანტონის ასულმა გაბუნიასამ—ორი საბლუზე. ქეთევან ბურდღეს ასულმა მურუსიძისამ - წყლის გრაფინი, თვით პაშა ანტონის ასულმა კემულარიასამ—1 საბლუზე. ძმათა ბურჯანაძეებმა—4 ბოთლი ღვინო. ისმაელ აბულაძემ—50 კაპ. მიშა ფურცელაძემ—35 კაპ. ანტონ მანაგაძემ—10 ბოთლი ღვინო. ლუკა გრიგოლაშვილმა—16 ბოთლი ღვინო. პავლე კოკაია—10 მხარი ბაწარი. აბაშვილმა—1 დორი. სხულაშვილმა—1 მან. ხონელიძემ—50 კაპ. მ. ჯავახაძემ—50 კაპ. ი. ზვიადაძემ—2 ქვედი. გრ. არჯევნიძემ—1 კოლოფი კანფეტი. ი. კარტოზიამ—2 ბოთლი ბორჯომის წყალი. მესაადე კოგანმა—ვერცხლის ძეგი.

(შემდეგი იქნება).

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ

გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღე. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭაჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.

აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე. თ.

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში“) ტყიბულის რკ. გზ. შტოზე.

სამკურნალო აბანო

პ. ვ. ოგოლაძის.

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან **გაიხსნა სეზონი.** ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კი: ქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ-ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორიაგან.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა—ქუთაისში